

განმარტებითი ბარათი

“დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის თაობაზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება განპირობებულია “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მიღებასთან. აღნიშნული კანონის თანახმად ლიცენზირებას ექვემდებარება არა მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირი, შესაბამისად “დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონში შესწორებას საჭიროებს დებულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ახორციელებს მხოლოდ “არასახელმწიფო” იურიდიული პირების ლიცენზირებას.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, ლიცენზირებას ექვემდებარება დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა, გარდა დამატებითი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობისა. გამომდინარე ამ დებულებიდან, მიზანშეწონილი არ არის, რომ არალიცენზირებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შედეგად გაცემულ იქნას სახელმწიფო სერტიფიკატი.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელსაც წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს, უკავშირდება დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებას. “დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, 18 წლის ასაკამდე პირთათვის სახელმწიფოს ხარჯზე დაწყებითი პროფესიული განათლების მიღების უფლებას დაწყებითი პროფესიული განათლების სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად სახელმწიფო ხარჯზე მოსწავლეთა მისაღები კონტინგენტი განისაზღვრება სახელმწიფო დაკვეთით.” რამდენადაც სახელმწიფო დაინტერესებულია პროფესიული განათლების ხელშეწყობაში და ამასთან კანონის თანახმად მოსწავლეთა დაფინანსება განისაზღვრება სახელმწიფო დაკვეთით, მიზანშეწონილია, რომ 18 წლის ასაკის შეზღუდვა ამოღებულ იქნას.

კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.